პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 18 დეკემბერი № 297 (16727) ფასი 2 კაპ. 1976

მეათე ხუთწლედში ქვეყნის წინაშე, ჩვენი პარტიისა და ხალხის წინაშე დასახულია უდიდესი, უაღრესად საინტერესო სამუშაო. ეს უაღრესად პასუხსაგები სამუშაოა. და იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ, როგორ შეასრულებთ დასახულ გეგმებს, დამოკიდებულია ჩვენი სამშობლოს კლიერება, ავტორიტეტი და აყვავება, თვითეული ოჯახის კეთილდღეობა, თვითეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობა და გედნიერება.

ლ. ბრეჟნევი.

სურათზე: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს გადაცემის დროს.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო

17 დეკემბერს კრემლში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველში მდივანმა ი. კადარმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დროშის ორდენი. ამ ჯილდოს მინიჭება აღიარებაა ლ. ი. ბრეჟნევის უდიდესი ღვაწლისა, საქმიანობისა, რომელსაც ეწევა იგი კაცობრიობის პროგრესის ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დასამკვიდრებლად, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების განსამტკიცებლად, აგრეთვე უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განსაკრამეებლად.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. თ. უსტინოვი, გ. ა. ალეევი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაბიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო, ი. პ. რიაბოვი.

ამხანაგებმა ი. კადარმა და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვები წარმოთქვეს.

ამხანაგ ი. კადარის სიტყვა

დიდად პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

დიდად გვიხარია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაკმაყოფილა ჩვენი თხოვნა. საშუალება მოგვეცა ჩამოვსულიყავით მოსკოვში, რათა შეგვასრულებინა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის დავალება. უნგრელი კომუნისტების, სოციალიზმის მშენებელი უნგრელი ხალხის სახელით გულწრფელი და დიდი პატივისცემით მივესალმები აქ დამსწრე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მთავრობის წარმომადგენლებს, და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომლის მოახლოებული სამოცდამეათე წლისთავის გამო აქ შეველიკრიბეთ.

ძვირფასო ამხანაგებო!

უნგრელი ხალხის მრავალმილიონიანმა მასებმა იციან, რომ ამხანაგი ბრეჟნევი, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტებმა, ხალხებმა უდიდესი ნდობა გაუწიეს და ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის უმაღლეს და პასუხსაგებ პოსტზე დააყენეს, ჭაბუკობიდანვე ცხოვრობს თავისი ხალხის ცხოვრებით და ძალღონის დაუშურებლად, თავდადებით იბრძვის და შრომობს, როგორც საბჭოთა კომუნისტს, პატრიოტს შეეწევა ამ ამხანაგებ

(დასასრული მე-2 გვ.)

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო კადარ!

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითად მადლობას მოვახსენებ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმს ასეთი დიდი პატივისცემისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთიანმობილური იდეებით შთაგონებულმა საბჭოთა და უნგრელმა კომუნისტებმა ოქტომბრისა და პირველი საბჭოთა უნგრეთის რესპუბლიკის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა — თავიანთი სანრძოლო კავშირი ჩვენი ბობოქარი ეპოქის ყველა განსაცდელსა და ქარცეცხლში გამოატარეს. მათ ერთიანი ძალებით ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. უნგრეთში ფაშიზმის განადგურებისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამ კავშირს, შეიძლება ითქვას, ახალი აფეილი შთაებერა და ახალი თვისება მიენიჭა. ეგი ჩვენი ხალხების ღვიძლი საქმე გახდა და ახლა ხორცს ისხამს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოების თანამშრომლობისა და მეგობრობის ურიცხვ გამოვლინებებად.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ის დიდი როლი, რომელსაც ჩვენი თანამშრომლობის განვითარებაში ასრულებს შესანიშნავი ამხანაგური ურთიერთობა, რომელიც ჩვენ, საბჭოთა ხელმძღვანელებმა, დავამყარეთ უნგრელ ხელმძღვანელებთან და უწინარეს ყოვლისა თქვენთან, ამხანაგო კადარ, ნაცად და ბრძენ რევოლუციონერ - ინტერნაციონალისტთან, ადამიანთან, რომელმაც ღირსეულად მოიხვეჭა თავისი პარტიისა და ხალხის, აგრეთვე საზღვარგარეთელი კომუნისტების ავტორიტეტი და ნდობა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დროშის ორდენს რომ ვიღებ, ვფიქრობ იმ სახელოვან გზაზე, რომელიც უნგრეთის შრომელებმა გამოიარეს თავიანთი ნაცადი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის ხელმძღვანელობით.

ეს ორდენი ჩემს თვალში სიმბოლოა დროშისა, რომლითაც იბრძოდა 1919 წელს უნგრეთის რეგულარული მუშათა კლასი, დროშისა, რომელიც საგმირო საქმეებისათვის მოუწოდებდა იტალიელ კომუნისტებსა და სხვა პატრიოტებს რეაქციის წლებში. დროშისა, რომელიც ახლა თავს დაჰფრიალებს თავისუფალ და აყვავებულ ქვეყანას, საუკუნო ნატვრა რომ აუხდინა შრომელ ხალხს.

სულით და გულით ვუსურვებ მომძე უნგრელ ხალხს, უნგრელ კომუნისტთა პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს ახალი დიდი წარმატებანი მოეპოვებინოთ უნგრეთის მიწაწყალზე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში!

ჩვენი პარტია დიდად აფასებს ძმას, რომ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მრავალფეროვან საკითხებშიც, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის

(დასასრული მე-2 გვ.)

ამხანაგ ი. კადარის სიტყვა

დიდად პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

დიდად გვიხარია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაკმაყოფილა ჩვენი თხოვნა. საშუალება მოგვეცა ჩამოვსულიყავით მოსკოვში, რათა შეგვასრულებინა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის დავალება. უნგრელი კომუნისტების, სოციალიზმის მშენებელი უნგრელი ხალხის სახელით გულწრფელი და დიდი პატივისცემით მივესალმები აქ დამსწრე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მთავრობის წარმომადგენლებს, და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომლის მოახლოებული სამოცდამეათე წლისთავის გამო აქ შეველიკრიბეთ.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა ფინეთის რესპუბლიკის ჯილდო

17 დეკემბერს კრემლში ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა ფინეთის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო ძეწვიანი „ფინეთის თეთრი ვარდის“ ორდენის დიდი ჯვარი. ეს ჯილდო ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში უდიდესი წვლილისათვის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების საქმეში უთვალსაჩინოესი ღვაწლისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, ნ. ვ. პოდგორნი, კ. უ. ჩერნენკო.

უ. კ. კეკონენმა და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვები წარმოთქვეს.

უ. კ. კეკონენის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ფინელო მეგობრებო!

ამხანაგებო!

გულითად მადლობას მოვახსენებ ჩვენს მეგობარს, პრეზიდენტ ურჰო კალევა კეკონენს ჩემი დაბადების დღის გულთბილი მოლოცვისათვის, ფინეთის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს გადმოცემისათვის.

ეს ჯილდო, ისევე როგორც თქვენს მიერ ნათქვამი ყველა ის სიტყვა მე და ჩემს კოლეგებს უწინარეს ყოვლისა მიგვაჩნია იმის ახალ აღიარებად, რომ სწორი, ნაყოფიერი და პერსპექტიულია საბჭოთა კავშირისა და ფინეთის გულწრფელი მეგობრობის, ურთიერთნდობის, ყოველმხრივი თანამშრომლობის კურსი.

როცა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ბედზე ვფიქრობ, სულ თვალწინ მიდგას როლი, რომელიც ფინეთთან კეთილმეზობლობის მოგვარებაში შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა. სწორედ ლენინმა მოაწერა ხელი ისტორიულ დეკრეტს ფინეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. სწორედ ლენინს შეეძლო სრულიად საფუძვლიანად განეცხადებინა: „ჩვენმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ ყველაფერი გააკეთა და კვლავაც გააკეთებს ფინეთის თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისათვის“...

(დასასრული მე-2 გვ.)

17 დეკემბერს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ უ. კ. კეკონენის შეხვედრა, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. სურათზე: საუბრის დროს.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

ი. კადარი — მოსკოვში

17 დეკემბერს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ქალაქის ვაგზალზე ამხანაგ ი. კადარს შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ი. ვ. კაბიტონოვი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი რ. ბ. ბალანანი, სსრ ცენტრალური [illegible] ა. ი. ბლატოვი.

ვაგზალზე იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. მარიაი. (საკდესი).

მეგობრული შეხვედრა

17 დეკემბერს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. ი. კადართან, რომელიც მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა მოსკოვში.

ორი პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების ბევრ პერსპექტიულ მიმართულებაზე, შეეხნენ აგრეთვე მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის შემდგომი ბრძოლის აქტუალურ საკითხებს.

შეხვედრამ შეხედულებათა სრული ერთიანობის, გულწრფელი მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა.

ამავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სადილი გაუმართა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ი. კადარს.

(საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევისა და უ. კ. კეკონენის შეხვედრა

17 დეკემბერს მოსკოვში ხანმოკლე მეგობრული ვიზიტით იყო ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, რომელიც ამისათვის ჩამოვიდა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისათვის პირადად, თავისი მთავრობისა და ფინელი ხალხის სახელით მიელოცა დაბადების 70 წლისთავი.

იმავე დღეს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ უ. კ. კეკონენის შეხვედრა, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

ლ. ი. ბრეჟნევმა და უ. კ. კეკონენმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობა. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირი და ფინეთი, რომლებიც ხელმძღვანელობენ 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ყველა დებულებით, ყველაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობა ყველა დარგში, რითაც დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში.

საუბრის დროს შეეხნენ მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს. ლ. ი. ბრეჟნევმა და უ. კ. კეკონენმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ევროპის ყველა სახელმწიფომ ერთად იმოქმედოს ევროპის მშვიდობის კონტინენტად გადაქცევისა და თანასწორუფლებიანი კეთილმეზობლური ურთიერთობის მიზნით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა საუზმე გამართა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად.

სსრ კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ნუკოვოს აეროდრომზე ურჰო კალევა კეკონენს შეხვდნენ და გაიცილეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

საქართველოს სსრ დოსაფის IV ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად მოგესალმებათ თქვენ, ჩვენი რესპუბლიკის დოსაფის IV ყრილობის დელეგატებს, და თქვენი სახით საბჭოთა საქართველოს ნებაყოფლობითი თავდაცვითი საზოგადოების ყველა წევრსა და აქტივისტს და გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად, გისურვებთ წარმატებებსა და კეთილღიერებას პირად ცხოვრებასა და მუშაობაში.

თქვენი ყრილობა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს. საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებიც უდიდეს პოლიტიკურ ამაღლებას განიცდიან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შთაგონებით შრომობენ, ისწრაფვიან წარმატებით დაამთავრონ მეათე ხუთწლედის პირველი წელი და ამით საძირკველი ჩაუყარონ მომავალი,— დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის წლის დიადაღლებათა წარმატებით შესახვედრად.

ქართველი ხალხის აქტიური, თავდადებული შრომა მიზნად ისახავს იმ სოციალურ გარდაქმნათა გრანდიოზული პროგრამის შესრულებას, რომლებიც დასახეს სკკპ XXV ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმმა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ამ პლენუმზე წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელშიც დაკონკრეტებული და განვითარებულია ჩვენი პარტიის ყრილობის უმნიშვნელოვანესი დებულებები და დასკვნები, მიზნად ისახავს იმ მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ, მისი ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა ჩამოაყალიბეს.

საქართველოს კომუნისტები, რომლებიც საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებით ხელმძღვანელობენ, წარმატებით ამკვიდრებენ რესპუბლიკაში ჯეროვან მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, თვისებრივად ამაღლებენ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონეს, ზრუნავენ საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, რაზმავენ ყველა შრომელს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. საბჭოთა საქართველოს შრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრძნულ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ კურსს საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში.

ჩვენი სახელმწიფოსა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება, რომელიც ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნების ხელმემწყობი პოზიტიური პროცესების გაღრმავებასა და გაფართოებას თვალისწინებს, შეესაბამება ყველა ხალხისა და ყველა მშრომელი ადამიანის მისწრაფებებს.

ამასთანავე, ხალხებს, დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს ესმით, თუ რაოდენ საჭიროა ღონისძიებანი, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა იხორციელებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების განსამტკიცებლად.

ამ ღონისძიებებს მოიცავს არმიის, ავიაციის, ფლოტის ხელმეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კეთილშობილური საქმიანობა მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, იმისათვის, რომ მოამზადოს ახალგაზრდობა თავისი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის — საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის შესასრულებლად, პირადი წვლილი შეიტანოს დიადი სამშობლოს თავისუფლების დაცვისა და აყვავების საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მთავრობა მეესალმებიან დოსაფის ყრილობას, და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის თავდაცვითი საზოგადოება პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, პროფკავშირებთან და კომკავშირთან თანამეგობრობით უფრო მაღალ მიზენებლებს მიაღწევს თავდაცვით-მასობრივ მუშაობაში, კვლავაც განუტკიცებს და განუვითარებს საბჭოთა ადამიანებს, საბჭოთა ახალგაზრდობას პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სამშობლოს თავდადებული ერთგულების გრძნობას, მზადყოფნას მთელი ძალები მოახმარონ ბედნიერებასა და აყვავებას, კომუნიზმის იდეალების სრულ გამარჯვებას.

ახალ დიდ წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

დიდება ჩვენი ქვეყნის კომუნისტურ პარტიას!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

რაც დაუვიწყარია...

დიდი ზრუნვის ფოტომატიანე

ლ. ი. ბრეჟნევი გულითადად მიესალმება თბილისელებს.

ღირსსახსოვარი შეხვედრების სითბო

საქართველოს მშრომელები, პარტიული ორგანიზაციანიადგ ბრძნობენ იმ დიდ ზრუნვასა და ყურადღებას, რასაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, კულტურის შემდგომი აყვავებისათვის იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროს, პირადად კაკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ამის შესახებ ნათლად მოგვითხრობენ მასალები, რომლებიც „კომუნისტის“ რედაქციის არქივში ინახება. ეს არის ფოტოსურათები, საქართველოს მიწა-წყალზე, ქვირფასი ადამიანის — ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სტუმრობას რომ ასახავს.

დღეს ჩვენს მკითხველებს ამ დაუვიწყარ შეხვედრებს ერთხელ კიდევ მოგაგონებს ფოტომატიანე, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.



ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს სსრ დროშაზე ამაგრებს ლენინის ორდენს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მოუთხრობენ იქ თავმოყრილი სამეცნიერო ექსპონატების შესახებ.

ვლ. გინზბურგის ფოტო („კომუნისტი“).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო

ამხანაგ ი. კადარის სიტყვა

(დასასრული)

ეფერება. იგი სოციალიზმისა და კომუნიზმის საფუძვლების მშენებლობისათვის გაწეულ მშვიდობიან ალმშენებლობითს შრომაშიც მონაწილეობდა და საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაშიც, რომელმაც დიდი სამამულო ომის წლებში დაიკავა სამშობლო და გადაარჩინა ევროპის ბევრი ხალხი. თავისუფლება მოუტანა უნგრელ ხალხსაც. მთელი მსოფლიოს ასეულმილიონობით ადამიანის შეგნებაში, ვისაც საზოგადოებრივი საქმეები აწუხებს, ამხანაგ ბრეჟნევის სახელი და მისი სახე შერწყმულია იმ დიად მიზნებთან, რომლებსაც იგი მუდამ ემსახურებოდა, იმ ისტორიულ მოვლენებთან, რომლებზეც მან თვითონ მოახდინა გადამწყვეტი გავლენა.

როცა ამხანაგ ბრეჟნევს მივესალმები, თავდაპირველად მინდა ვილაპარაკო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე, რომელიც თავისი უკვდავი დამაარსებლის ანდერძის მიხედვით, თავისი კოლექტიური ხელმძღვანელი ორგანოს — ცენტრალური კომიტეტის წინამძღოლობით მუშაობს ხალხთან მჭიდრო კავშირით, წმინდად დაცავს, მაღლა ატარებს და მაღლა უჭირავს ლენინის ძლევამოსილი დროშა. დიდი საბჭოთა ხალხი, რომელიც პარტიას მიჰყვება, ასრულებს თავის გიგანტურ სამეშაოს კომუნიზმის აშენებისათვის და დაუოკებლად განაგრძობს თავის ისტორიულ გზას. მნიშვნელობით უდავოდ დიდი და ფასდაუდებელია საბჭოთა კავშირისა და მისი კომუნისტური პარტიის როლი მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის განვითარება, მისი ძალიერების ზრდა, მისი საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ვითარების ისეთი განმსაზღვრელი ფაქტორებია, რომლებსაც ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირშო — საბჭოთა კავშირი მსოფლიო-პოლიტიკური ფაქტორია, იმ ძალების მთავარი დასაყრდენი და იმედია, რომლებიც იბრძვიან სოციალური პროგრესისათვის, სოციალიზმისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის. ერთა დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს თითქმის სამოცი წლის ისტორიას ქმნიდნენ მრავალეროვანი, მძლავრი საბჭოთა სამშობლოს მოძმე ხალხები. უმაგალითო სიმტკიცემ, თავდადებამ. ინტერნაციონალისტურმა სულისკვეთებამ, რომელიც გამოჩინა საბჭოთა ხალხმა როგორც ომის დღეებში, ისე მშვიდობიან დღეებში, უდიდესი როლი შეასრულა ძალთა საერთაშორისო თანაფარდობის შეცვლაში, იმაში, რომ სოციალიზმი მსოფლიო სისტემა გახდა. თავისი ისტორიის მანძილზე საბჭოთა ხალხმა თავისი ეროვნული და საერთაშორისო ამოცანების გადაწყვეტა ამიტომ, შეძლო, რომ მუდამ ერთგულად მიჰყვებოდა თავის ავანგარდს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, სწორედ ამიტომ განხორციელდა დიდი ლენინის იდეები, ხორცი შეესხა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მგზნებარე ბელადის მოძღვრებას.

მასების როლის სწორ შეფასებასთან ერთად, მარქსისტ-ლენინელებს მშვენივრად აქვთ შეგნებული ისტორიაში პიროვნების დიდმნიშვნელოვანი როლიც. მათ იციან, რომ ყველა დროს საჭიროა ხელმძღვანელები, რომლებსაც საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და ობიექტური მოთხოვნილების შესაბამისად შეუძლიათ ჩამოაყალიბონ და განავითარონ დროის, ვითარების მოთხოვნა. მიგისალმებ რა იუბილარს, სწორედ ეს პრინციპები, ჩვენი დღევანდელობა, ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევის როლი მაქვს მხედველობაში.

ჩვენ, უნგრელებმა, ასევე კარგად ვიცით და დიდად ვაფასებთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს, ტიტანურ შეშაობას, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას, მის პირად წვლილს პრინციპული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და პრაქტიკული განხორციელების საქმეში, საბჭოთა კავშირის განვითარებაში, სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებაში, პროგრესისა და მშვიდობისათვის ჩვენი საერთაშორისო საერთო ბრძოლის წარმართვაში.

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

თქვენი სახით დიდ პატივს ვცემთ უნგრელი კომუნისტების, უნგრელი ხალხის ახლო, ქვეშარტ მეგობარს. ჩვენ განსაკუთრებით მადლობელი ვართ იმისათვის, რაც უკვე გაკეთეთ და აკეთებთ უნგრელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის გასაკითარებლად.

თქვენდამი ჩვენი ღრმა პატივისცემის ნიშნად, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება თქვენი დაჯილდოებისა შესახებ. ნება მიბოძეთ წავიკითხო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის ბრძანებულება:

„უდიდესი დამსახურების აღიარების ნიშნად, ზოგადსაკაცობრიო პროგრესის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების, აგრეთვე უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავების ინტერესებისათვის გაწეული სამსახურის გამო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს აჯილდოებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ალმასებიანი დრაშის ორდენით“.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

პირადად ჩემთვის განსაკუთრებით ბევრ რამეს ნიშნავს, რომ დიდი ხანია ახლოს გიცნობთ და პატივს გცემთ, როგორც ნამდვილ მეგობარს, ერთგულ მებრძოლ ამხანაგს. ჩემთვის განსაკუთრებით დიდი ბედნიერებაა პირადად გადმოგცეთ ეს ჯილდო, გთხოვთ ჯილდო ისეთივე კეთილი გრძნობებით მიიღოთ, როგორითაც მას გადმოგცემთ. პირადად ჩემი სახელით და ყველა თქვენი უნგრელი პატივისმცემლის, ჩვენი ხალხის სახელით სულითა“ და გულით გისურვებთ, რომ კიდევ დიდხანს გეშრომოთ თქვენს მოლალ პოსტზე საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი საერთო საქმის — სოციალიზმის, კომუნიზმის, მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

ვის, საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაშიც ჩვენ მხარდამხარ მოგვყვებიან უნგრელი თანამებრძოლნი და მეგობრები, რომ ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი მიგვიჯვებთ მომავალ სოციალისტური სახელმწიფოების მეგობრულ, შეკავშირებულ მწყობრად. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა და უნგრელი კომუნისტების საბრძოლო თანამოქმედება, ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობა კიდევ უფრო უხვად გამოიღებს კარგ ნაყოფს.

ჩემი მხრივ აღგითქვამთ, ყველაფერს ვიღონებ, რაც კი რამ შეიძლება, რათა ხელი შევუწყო ამ საქმეს.

კიდევ ერთხელ მადლობა მოგიხსენებთ მაღალი ჯილდოსათვის.

• • •

ამხანაგ ი. კადარისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები დიდი უურადღებით მოისმინეს (დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა გულითადად მიესალმენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს მიღება და ულოცავენ კვლავაც ნაყოფიერად ედვაწოს სკკპ ლენინური პოლიტიკის განსახორციელებლად, კომუნიზმის საქმის ახალი გამარჯვებების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ. (საკდესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა ფინეთის რესპუბლიკის ჯილდო

უ. კ. კეკონენის სიტყვა

(დასასრული)

კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის ქვაკუთხედია 1948 წელს დადებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. ამასთან დაკავშირებით სრულიად საფუძვლიანად მახსენდება სიტყვები, რომლებიც 1970 წლის ზაფხულში ბრძანეთ, როცა ოფიციალური ვიზიტით ვიყავი ჩამოსული საბჭოთა კავშირში მორიგი 20 წლისათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასაგრძელებლად. თქვენ მაშინ აღნიშნეთ, რომ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობის განმტკიცებაში ხელშეკრულების შესაძლებლობანი ამოწურული კი არა, არამედ, პირიქით, ჯერ მთლიანადაც არ არის გამოყენებული. ჩვენ ფინეთში ასევე მიგვაჩნია, რომ მრავლად გვაქვს შესაძლებლობანი ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობა და ნდობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა და მათ სახელმწიფო ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ეს ჩვენი უძვირფასესი ერთობლივი კუთვნილებაა.

საბჭოთა კავშირში დიდად ათასებენ იმ ზრუნვას, რომელსაც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, დღენიადაგ იჩენთ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განმტკიცებისათვის. ჩვენ გიცით, რომ თქვენი ეს მოღვაწეობა ეყრდნობა ფინეთის პროგრესული და დემოკრატიული ძალების, თქვენი ხალხის დიდი უმრავლესობის თანხმობასა და მხარდაჭერას.

ჩემი მხრივ, სრულიად გარკვევით შემიძლია ვთქვა: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რომ განამტკიცონ კეთილი მეზობლობა ფინეთთან. ჩვენ კვლავაც ლენინურად განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობას, გავაღრმავებთ მშვიდობიან და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ყველა სახელმწიფოსთან!

• • •

უ. კ. კეკონენისა და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

უ. კ. კეკონენმა, როგორც „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარემ, ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა საზოგადოების მისასალმებელი აღფრთოვანების ნიშანი, რომლითაც საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ დააჯილდოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

დარბაზში მყოფმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გულთბილად მიესალმენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ფინეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს მიღება.

(საკდესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა ფინეთის რესპუბლიკის ჯილდო

უ. კ. კეკონენის სიტყვა

(დასასრული)

ეს მით უმეტეს უნდა გავიხსენოთ დღეს, როცა ჩვენმა სახელმწიფომ და ფინეთის რესპუბლიკამ არსებობის მესამოცე წელი დაიწყეს.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის განვითარება ოკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მტკიცედ შევიდა მსოფლიოს პოლიტიკურ მატიანეში როგორც ვ. ი. ლენინის მიერ შემოშვებული სახელმწიფოთა ახალი ურთიერთობის პრინციპების განხორციელების მაგალითი. ეს მაღალი პრინციპები, როგორც არაერთხელ აღგინიშნავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, გამოხატულია 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით. მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ ხელშეკრულებით, ყველა მისი დებულებით განსაზღვრული ეს ხაზი იყო, არის და იქნება სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობის განვითარების მაგისტრალური მიმართულება.

სხვა ამბავზეც მინდა მოგახსენოთ. საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობა, შეისაბამება რა ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებისა და ხელსაყრელი ურთიერთობის განმტკიცების საქმის ფართო საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ სრულიად ევროპის ჰელსინკის თათბირის მიერ მიღებულმა სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპების კრებულმა ბევრი რამ შეისისხლხორცა სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობის დროით ნაკადი გამოცდილებისაგან. ეჭვი არ არის, რომ ჩვენს ქვეყნებს შეუძლიათ ჰელსინკში მიღწეულ მორიგებათა რეალიზაციის საქმეშიც კარგი მაგალითი აჩვენონ.

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობა და ნდობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა და მათ სახელმწიფო ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ეს ჩვენი უძვირფასესი ერთობლივი კუთვნილებაა.

საბჭოთა კავშირში დიდად ათასებენ იმ ზრუნვას, რომელსაც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, დღენიადაგ იჩენთ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განმტკიცებისათვის. ჩვენ გიცით, რომ თქვენი ეს მოღვაწეობა ეყრდნობა ფინეთის პროგრესული და დემოკრატიული ძალების, თქვენი ხალხის დიდი უმრავლესობის თანხმობასა და მხარდაჭერას.

ჩემი მხრივ, სრულიად გარკვევით შემიძლია ვთქვა: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყველაფერს იღონებენ, ჩვენ განამტკიცონ კეთილი მეზობლობა ფინეთთან. ჩვენ კვლავაც ლენინურად განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობას, გავაღრმავებთ მშვიდობიან და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ყველა, სახელმწიფოსთანა!

• • •

უ. კ. კეკონენისა და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

უ. კ. კეკონენმა, როგორც „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარემ, ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა საზოგადოების მისასალმებელი აღფრთოვანების ნიშანი, რომლითაც საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ დააჯილდოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

დარბაზში მყოფმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გულთბილად მიესალმენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ფინეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს მიღება.

(საკდესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი იუგოსლავიაში

დოკუმენტებისა და მასალების კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში“. იგი შეიცავს დოკუმენტებსა და მასალებს იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1976 წლის 15-17 ნოემბრის მეგობრული ვიზიტის შესახებ.

კრებულში გამოქვეყნებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბროზ ტიტოს სიტყვები, ცნობები საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შესახებ, მასალები იუგოსლავიაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნის შესახებ. კრებულში მოთავსებულია საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კომუნიკე, ცნობა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში. იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტის შედეგების შესახებ“ და სხვა მასალები. (საკდესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვების გრამჩანაწერები

საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებისა და გამოსვლების გრამჩანაწერები.

ორფირფიტიან ალბომში „ჩვენი მიზანია კომუნიზმი“ შეტანილია სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ფრაგმენტები, რომლებშიც სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები აისახა. მეორე ალბომი, რომელიც ოერთი ორი ფირფიტისაგან შედგება, —„მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის“ — ეძღვნება სკკპ საგარეო პოლიტიკის საკითხებს, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების ანალიზს. ალბომში შეტანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე გაკეთებული მოხსენებების ფრაგმენტები, გამოსვლა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაზე.

გამოვიდა ოერთი ფირფიტა, რომელზეც ჩაწერილია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ლენინის სახელობის ავტოქარხნის მუშათა მიტინგზე. (საკდესი).

ცხოვრების ფურცლები — ეპოქის ფურცლები

ფოტოალბომი „ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი“. ცხოვრების ფურცლები — ეპოქის ფურცლები“ გამოუშვა გამომცემლობა „პლანეტამ“. მასში შეტანილია სამოცდაათ ფოტოქრონიკის მასალები.

სხვადასხვა წლების მრავალ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ლეონიდ ილიას-ძის ღრმა და მტკიცე კავშირი ხალხთან, მისი აქტიური მონაწილეობა დიდ სამამულო ომში, კომუნიზმის მშენებლობაში მისი ღამშენებლობითი შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ალბომის შთამბეჭდავი ნაწილი ეძღვნება პარტიისა და ქვეყნის ცხოვრების ისტორიულ მოვლენას — სკკპ XXV ყრილობას, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ფოტოალბომის მასალები თვალსაჩინოდ ცხადყოფენ, რომ ბორკიელლება მშვიდობის პროგრამა, რომელსაც მთელ პროგრესული კაცობრიობა ლ. ი. ბრეჟნევის სახელს უკავშირებს.

(საკდესი).

დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

თბილისი, 16 დეკემბერი. (საკუთარი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის მეთაური ბ. ა. სუსლოვი, რომელიც ეთაურობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას ვიეტნამის მშრომელთა პარტიის მე-4 ყრილობაზე, ჰანოიდან მოსკოვს გაემგზავრა.

მასთან ერთად გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. ვ. რუსაკოვი.

17 დეკემბერს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, რომელიც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

საქართველოს სსრ დროშაპის IV ყრილობა

17 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ დროშაფის IV ყრილობა.

ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ომფხისტური პარტიის დელეგაციის ვიეტნამის მშრომელთა პარტიის მე-4 ყრილობაზე, ჰანოიდან მოსკოვს გაემგზავრა.

მასთან ერთად გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. ვ. რუსაკოვი.

17 დეკემბერს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, რომელიც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

17 დეკემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს გადაეცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჯილდოები. გაზეთი აქვეყნებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკისა და ლ. ი. ბრეჟნევის სტატუტებს ჯილდოების გადაცემის დროს. ამ მასალებს ჩვენი მკითხველები „კომუნისტის“ ფურცლებზეც გაეცნენ.

გაზეთი ბიუდაპეშტ „შუ“-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალებას, „უნგრეთ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსის წერილს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი დაბადების 70 წლისთავის გამო. **„ხუთწლეული პირველი წლის მოსავლისათვის ბრძოლაში ქვეყნის მიწათმოქმედთა მიერ მოპოვებული დიდი წარმატება პარტიის ლენინური აგრარული პოლიტიკის გამარჯვების ახალი მკაფიო დადასტურებაა. ეს წარმატება მიღწეულია სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობის** იმ კომპლექსური პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების წყალობით, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა სკკპ XXV ყრილობაზე“, — ვკითხულობთ მოწონებულ წერილში „**მთავარი მიმართულებით**“, — ამ **პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, სახოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობის მაგისტრალური მიმართულებაა მისი სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე გადასვლა**“... წერილში განმარტებულია ამოცანები ამ პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის, მხილებულია ხელმშშლელი მიზეზები.

ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ჯილდოთადად მიიღო ჩრდილო დონეცკის სამრეწველო გაერთიანება „აზოტის“ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ხუთწლეულის პროგრამის განხორციელებაში.

„დედამიწაზე სიცოცხლის სასიკეთოდ“ — ასე ეწოდება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ი. უუკოვის ვრცელ მიმოხილვას, რომელიც ეძღვნება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მის პირად კონტაქტებს სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეებთან. მასთანვე შეხვედრებს. **„უეჭველია, რომ მთელს მსოფლიოში ფართო მასების უწარმაზარი სიმპათიები ლ. ი. ბრეჟნევისადმი, უპირველეს ყოვლისა, იმის დადასტურებაა, რომ მისი სახით მასები ხედავენ ლენინური პარტიის ნაცად ხელმძღვანელს, დიადი საბჭოთა ხალხის ყველაზე ღირსეულ წარმომადგენელს“** — გვითხულობთ წერილში.

ენერგეტიკის განვითარების გამო წამოჭრილი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემებზეა ლაპარაკი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **დ. ეიმერინის** წერილში „**ენერგეტიკა: დღეს და ხვალ**“. ნომერში მკითხველი ნახავს აგრეთვე პრესის მიმოხილვას იმის თაობაზე, თუ როგორ აშუქებენ გაზეთები ახალგაზრდობის ცხოვრებას, მშრომელთა წერილებს ნაბერობორტო ყოფიოთს საკითხებზე, საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის ახალ ამბებს.

ПРАВДА

ხუთწლეული — ვადაზე!

აჭარის მეციტრუსეთა წარმატება

ბათუმი. (**„კომუნისტის“ სპ. კორ.**). აჭარის მეციტრუსეებმა, რომლებიც ენერგიულად შრომობენ მეათე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის, 17 დეკემბრამდე სახელმწიფოს მიჰყიდეს 60.248 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც წლიური გეგმის 100,9 პროცენტია.

ხელვაჩაურის რაიონის მეციტრუსეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 25.295 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 104,3 პროცენტით, ქობულეთელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 34.845 ტონა, ანუ წლიური გეგმის 98,6 პროცენტი.

აჭარის მეციტრუსეები ვალდებულების შესასრულებლად ენერგიულად შრომობენ.

მ. გორგილაძე.

1976 წელს

ნარინჯების ოქროს რთველი

ციტრუსების კრეფა-დამზადება
17 დეკემბრისათვის (ტონობით)

	გეგმა-ვალდებულება	შესრულება
აჭარის ასსრ	80.000	60.248
აფხაზეთის ასსრ	30.000	18.318
მახარაძე	15.000	12.466
ლანჩხუთი	3.000	1.803
ხობი	1.000	1.315
ზუგდიდი	1.000	1.000
ცხაკაია	250	290
სულ რესპუბლიკაში	**130.000**	**95.440**

1976 წელს

შენდება ვენახები

ვენახების გაშენების მიმდინარეობა
17 დეკემბრისათვის (ჰექტარობით)
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობა

რაიონები	გეგმა-დავალება	შესრულება
გურჯაანი	2.000	1.700
წითელწყაროო	2.000	2.162
სიღნაღი	1.300	1.260
ყვარელი	1.000	1.002
საგარეჯო	800	560
თელავი	700	703
ახმეტა	320	320
თერჯოლა	170	191
ლაგოდეხი	150	150
მარნეული	150	116
მცხეთა	100	107
გოლნისი	100	110
დუშეთი	100	91
გეგეჭკორი	50	40
ვანი	80	80
ზესტაფონი	60	85
მაიაკოვსკი	40	47
ჩოხატაური	30	43
სულ რესპუბლიკაში	**9.370**	**8.957**

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ახალი ზვრები გაშენდა 37 ჰექტარზე, ხაშურის რაიონში — 25, სამტრედიის — 20, ამბროლაურის — 18, გორის — 17, ჭიათურის — 15, წყალტუბოს — 15, წულუკიძის — 15, ქარელის — 12, ცაგერის — 10, ორჯონიკიძის — 11, კასპის — 8 ჰექტარზე.

ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისში

17 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის „საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე შეხვდა ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრს გ. ფიტცჯერალდს, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირში და წიადღით ჩამოვიდა თბილისში.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრს გააცნეს საქართველოს ისტორიული წარსული, საქართველო ხალხის შემოქმედებითი მიღწევები. ჩვენი წარმატებანი, თქვა შ. დ. კიკნაძემ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის წარმატებანი, იმის შედეგია, რომ წარმატებით ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ შეიმუშავა.

გ. ფიტცჯერალდმა აღნიშნა, რომ მისთვის დიდად საინტერესოა გაიცნოს საქართველოს — საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკის.

ამავე დღეს ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ფიტცჯერალდი და მისი თანმხლები პირნი ათვალიერებდნენ თბილისს. ისინი, კერძოდ, იყვნენ ღია ცის ქვეშ ვახსნილ მუზეუმში, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის სახელით სადილი გამართეს გ. ფიტცჯერალდის პატივსაცემად.

(საქინფორმი).

სტუმრად საქართველოში

17 — თქვენი ჩინებული წარმატებები გვახარებს. ყველგან ვგრძნობთ, რა მძლავრად ჩქეფს ცხოვრება თქვენს რესპუბლიკაში. თანაგვაყვება საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი, — თქვა 7 დეკემბერს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გამართულ დიალოგზე ოლიმპიადა-პოლიტსამმართველის უფროსი ა. ოვერჩუკი. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველის უფროსი ბ. ჩერედნიჩენკო, ამიერკავკასიის ოლიმპიადა-ოლიმპიადა-ოლიმპიადა-ოლიმპიადა-ოლიმპიადა-ოლიმპიადა-ოლიმ-ოლიმ-ოლ-ოლ-ოლ



ზაფთრის საქოვრებზე

უიზლარის საძოვრებზე გამოსაზამთრებლად გაუვანილ ცხვარს საკვებით უზრუნველყოფაში დიდ დახმარებას უწევენ საგარეჯოს რაიონის მშრომელები.

ზედიზედ მდიან შორ გზაზე საკვებით დატვირთული ავტომანქანების კოლონები. მარტო საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში დაამზადეს და ზამთრის საძოვრებზე გაგზავნეს 1.200 ტონა ნამჯა.

• • •

სურათებზე: უიზლარის საძოვრებზე მიემგზავრება საკვებით დატვირთული ავტომანქანების მორიგი კოლონა; ყაზბეგის რაიონის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, მოწინავე საკვებდამამზადებელი ზურაბ ხულელიძე (წინა პლანზე) აქტიურად მუშაობდა ნამჯის დამზადებაზე საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბავშვო კინოს პროგლემები

მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა გამსვლელმა პლენუმმა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის გამსვლელი პლენუმი საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობასთან ერთად. ამ პლენუმზე, რომელიც თბილისში დამთავრდა 17 დეკემბერს, მოსკოვის, უკრაინის, ლატვიის, უზბეკეთის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის კინოს მოღვაწენი, მუშაკნი, პედაგოგები სამ დღეს იხილავდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბავშვო კინემატოგრაფის დღევანდელ მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

როგორ ვითარდება დღეს საბავშვო ფილმი? როგორ იფართოებს იგი ჰორიზონტებს? რა შეაქვს ახალი ჩვენს დროებას მოზარდის ცხოვრებაში და როგორ მიაყვება ამ პროცესებს კინემატოგრაფი? რა არსებითი და მნიშვნელოვანი მოვლენები უნდა ასახოს კინემატოგრაფიამ?

ეს საკითხები, რომლებზეც ლაპარაკობდნენ მომხსენებლები და კამათში გამოსული კინორეჟისორები გ. პატარაია, რ. ესაძე, ა. ახუნდოვი, ბ. ბუნე